დუშეთის მაცნე

№1 (113)
20 მარტი
2023 წელი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პერიოდული საინფორმაციო ბიულეტენი. ვრცელდება უფასოდ

ირაკლი ღარიბაშვილი:

„ ჩვენი ისტორიის ოქროს ხანის კულტურა, ქართული რენესანსი, შუა საუკუნეებში აგრძელებდა იმ უზენაესი იდეალების დამკვიდრებას, რომელთაც დღევანდელი ევროპა აღიარებს ფუძემდებლურად...“

2-3

დუშეთის მუნიციპალიტეტსა და USAID-ის პროგრამას („ძლიერი სოფელი”) შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა

3

საკრებულოს ქრონიკა

განკარგულება N8

განკარგულება N9

განკარგულება N10

საინფორმაციო ხასიათის ტრენინგი საკრებულოში

5

მიწის ნაკვეთზე მარცვლოვანი ნაწვერალის გადაწვისთვის მკაცრი ჯარიმა წესდება

4

„გაიღე სისხლი - გადაარჩინე სიცოცხლე”

4

შეხვედრა მეთორმეტეკლასელთათვის

4

სტუმრები დანიელ ჭონქაძის სახლ-მუზეუმში

8

ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენი ისტორია უხსოვარ დროში იწყება"

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, მეუღლესთან - ნუნუკა თამაზაშვილთან ერთად, ტურისტული გამოფენის - ITB Berlin 2023-ის საზეიმო გახსნის ღონისძიებას დაესწრო. მთავრობის მეთაურმა დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა:

„ძვირფასო მეგობრებო, მოგესალმებით!

მივესალმები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ვიცე-კანცლერს, რობერტ ჰაბეკს, ბერლინის მერს - ფრანცისკა გიფაის, მესე ბერლინის ხელმძღვანელს - დირკ ჰოფმანს, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) გენერალურ მდივანსა და ჩემს მეგობარს - ზურაბ პოლოლიკაშვილს, მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) დირექტორს - ჯულია სიმპსონს.

ჩვენთვის დიდი პატივია, გიმასპინძლოთ საქართველოს სახელით.

კავკასიის რეგიონში, ევროპისა და აზიის გზაშესაყარზე მდებარე ჩვენი ქვეყანა ათასწლეულების განმავლობაში მრავალი ცივილიზაციის ეპიცენტრი, დიდი იმპერიების სამიზნე, ხშირად მათ შორის დავის საგანი იყო. აქ კაცობრიობის ისტორიის ყველა პერიოდია წარმოდგენილი. იგი ყალიბდებოდა და იცვლებოდა მუდმივ ბრძოლაში, განვითარებისა და თავისუფლებისკენ სწრაფვაში და, ამავე დროს, სხვა კულტურებთან აქტიურ ურთიერთქმედებაში; სწორედ ამ კულტურათა თანამშრომლობამ წარმოშვა საქართველოში ის ინტერკულტურული, ტოლერანტული ბუნება, რომლითაც ასე ვამაყობთ ქართველები.

საქართველო გამორჩეულია თავისი ბუნებითაც. ძნელად მოიპოვება ტერიტორია, სადაც მსგავსი ბუნებრივი მრავალფეროვნება და უწყვეტი კულტურაა. ამ მცირე ტერიტორიაზე არის დედამიწის ზედაპირზე არსებული ჰავის თითქმის ყველა ზონა დაწყებული სუბტროპიკულიდან, დამთავრებული მარადი თოვლისა და მყინვარების ზონით. ასეთ გარემოსა და ისტორიულ პროცესში ჩამოყალიბდა ქართული – ტოლერანტული, ყველა კულტურისა და განსხვავების პატივისმცემელი ჩვენი იდენტობა და კულტურა, ქართველი ადამიანის ხასიათი.

ძალიან ცოტა ქვეყანაა მსოფლიოში, რომელსაც სახელმწიფოებრიობის სამიათასწლოვანი ისტორია და მრავალათასწლიანი ეროვნული კულტურა აქვს. ეს კულტურა მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია და თავად კაცობრიობასავით ძველია.

დიახ, ჩვენი ისტორია უხსოვარ დროში იწყება. ევრაზიის ტერიტორიაზე ადამიანის უძველესი წინაპარი საქართველოშია აღმოჩენილი. ალბათ ყველას გსმენიათ Homo Georgicus-ის, პირველი ევროპელების შესახებ, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე თითქმის ორი მილიონი წლის წინ ცხოვრობდნენ და სათავე დაუდეს თანამედროვე ევროპის მოსახლეობას.

ქართველ ერს ყოველთვის ჰქონდა მჭიდრო კავშირი მახლობელი აღმოსავლეთისა თუ შუამდინარეთის ძველ ცივილიზაციებთან. ქართული პოლიტიკური ერთეულების უძველესი მოხსენიება ასურულ წყაროებში გვხვდება. ქართული სამეფოები: კოლხეთი, დიაოხი, იბერია მსოფლიო ცივილიზაციის განუყოფელ ნაწილად იქცა.

ანტიკურ ეპოქაში ჩვენ მაშინდელი დასავლური ცივილიზაციის მნიშვნელოვანი კერა ვიყავით; "ოქრომრავალი კოლხეთი", - ასე იხსენიება კოლხეთი უძველეს წერილობით წყაროებში ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქების გვერდით, როგორებიცაა მიკენი, ბაბილონი, ათენი. ძველ კოლხეთში ყვაოდა ფილოსოფია; ფაზისის ფილოსოფიური სკოლის შესახებ, სადაც თვით ბერძნებიც იღებდნენ განათლებას, თავად ძველი ელადის ფილოსოფოსები მოგვითხრობენ.

არქეოლოგიური აღმოჩენები ცხადყოფენ კავშირს ოქროს საწმისის ელინურ მითსა და რეალობას შორის; ამ კავშირში ეჭვი არ ეპარებოდათ ჯერ კიდევ ძველ ბერძენ ისტორიკოსებს. სწორედ კოლხეთის, როგორც ოქროს საწმისის ქვეყნის წყალობით დაიმკვიდრა პირველად საქართველომ თავისი ღირსეული ადგილი ევროპულ კულტურაში: კოლხეთში არგონავტების ლაშქრობას ეძღვნება ბერძნული მითოლოგიის მთელი ციკლი, ხოლო ბერძნული მითები არის ის მთავარი წყარო, რომელმაც დასაბამი მისცა ჯერ ანტიკურ, ხოლო შემდგომ ევროპულ კულტურას.

როგორც დასაწყისში აღვნიშნე, საქართველო გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე მდებარეობდა და მის კონტინენტთაშორის შემაერთებელი ხიდის ფუნქციას სძენდა აბრეშუმის გზა; საქართველოში ერთმანეთს ხვდებოდა ევროპა და აზია, აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციის ნაკადები. ქვეყანა ამ ორი სამყაროს კულტურათა თვითმყოფად ნაზავად იქცა.

მოგვიანებით, ანტიკურ საფუძველზე, ჩვენ ერთ-ერთი პირველნი ვამკვიდრებდით ქრისტიანობას, რომელიც თანამედროვე ევროპის უმთავრეს ღირებულებრივ საფუძველს წარმოადგენს; ჩვენმა ქვეყანამ ერთ-ერთმა პირველმა აღიარა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად, ხოლო მეოთხე საუკუნეში უკვე ქართულად იყო ნათარგმნი სახარება.

ჩვენი ისტორიის ოქროს ხანის კულტურა, ქართული რენესანსი, შუა საუკუნეებში აგრძელებდა იმ უზენაესი იდეალების დამკვიდრებას, რომელთაც დღევანდელი ევროპა აღიარებს ფუძემდებლურად;

საქართველოს ჰყავდა გამორჩეულად საამაყო მეფე, დავით აღმაშენებელი, რომლის დიდი ძალისხმევისა და გონივრული პოლიტიკის შედეგად XII საუკუნეში საქართველომ არნახულ ძლიერებას მიაღწია. ევროპაში იყო გავრცელებული ლეგენდა პრესვიტერ იოანე ხუცესის შესახებ, ამ ლეგენდარულ პერსონაში სწორედ ქართველი მეფე დავით აღმაშენებელი იგულისხმებოდა. მისი მმართველობის დროს საქართველოში მსოფლიოში ცნობილი მანგანის აკადემიის ანალოგიით ორი დიდი აკადემია შეიქმნა - გელათისა და იყალთოს აკადემიები, რომლებიც აღმოსავლურ უნივერსიტეტებს წარმოადგენდნენ.

XII საუკუნეში საქართველოს მართავდა აღმაშენებლის მემკვიდრე თამარი, თამარ მეფე – კეთილგონიერებითა და სიბრძნით გამორჩეული ქალი, რომელიც არა დედოფლად, არამედ მეფედ იწოდებოდა. სწორედ მისი მმართველობის დროს გაჩნდა მსოფლიოში პარლამენტის ერთ-ერთი პირველი ჩანასახი; ამ ეპოქის ნაყოფია ჩვენი არქიტექტურისა და ხელოვნების მრავალი შედევრი, მათ შორის, პოეტური ხელოვნების ერთ-ერთი მწვერვალი, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი", რომელიც საუკუნეთა განმავლობაში განსაზღვრავს ქართველთა მსოფლმხედველობას.

ენა, რომელზეც ეს უკვდავი ქმნილებაა დაწერილი, ერთ-ერთი უძველესია დღეს არსებულ ენათა შორის. ამ ენას ჩვენ დედაენას ვუწოდებთ, რადგან სწორედ იგია ჩვენი იდენტობის უმთავრესი საფუძველი, საიდანაც ქართული სული, ქართველის თვითშეგნება და მსოფლმხედველობა იბადება.

ასევე უძველესია ქართული დამწერლობა – ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და უნიკალური, რომელსაც ძველი წელთაღრიცხვით III საუკუნეში ფარნავაზ I-მა მისცა საბოლოო სახე, თუმცა ზოგიერთი ცნობებით, ძველი წელთაღრიცხვის მეშვიდე საუკუნიდან არსებობდა; ჩვენი დამწერლობის უძველესი ნიმუშები აღმოჩენილია როგორც საქართველოში, ისე, მის ფარგლებს გარეთ. ქართული ანბანი მნიშვნელოვანი ცვლილების შედეგად სამი სახის დამწერლობად ჩამოყალიბდა, რომელიც იუნესკომ კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად აღიარა.

ჩვენ მცირერიცხოვან, მაგრამ წარსულით ამაყ, თავისუფლების მოყვარე, დაუმარცხებელ ქართველ ერს წარმოვადგენთ.

ჩვენი ქვეყნის სავიზიტო ბარათი, და, ამავე დროს, კაცობრიობის კულტურული მონაპოვარია მრავალხმიანი სიმღერა; ქართულ პოლიფონიაში განსახიერებულია ადამიანის ყველაზე დიდი ღირსებები: თითოეული ინდივიდის თავისუფლება და უნიკალურობა და, ამავე დროს, სხვისადმი პატივისცემა, სოლიდარულობა და ჰარმონიული თანაცხოვრებისკენ სწრაფვა.

ალბათ, ქართული სული ყველაზე თვალსაჩინოდ ჩანს ჩვენს ცეკვებში, რომელიც ათასწლეულებში იღებს სათავეს. ყველა კუთხეს მისთვის დამახასიათებელი შრომის, ბრძოლისა თუ ყოფითი ქორეოგრაფია აქვს, და ყველა მათგანი სიცოცხლისა და თავისუფლების სიყვარულითაა განმსჭვალული.

სიმღერასთან, ცეკვასთან, ურთიერთობის ტრადიციებთანაა დაკავშირებული ქართული სუფრა – ჩვენი ყოველდღიური კულტურის, სოციალური ყოფის განუყოფელი ნაწილი. ქართული სუფრა უნიკალურია მთელ მსოფლიოში და დემოკრატიული საზოგადოების პირველ ჩანასახად შეიძლება ჩაითვალოს. იგი თანასწორი ურთიერთობების, საჯარო მსჯელობის, ტრადიციების გაგრძელებისა და, ხშირად, ახალი ტრადიციების დაბადების ადგილია. ამ უძველესი ტრადიციის წესები, რაც ვანში (დასავლეთ საქართველოში) აღმოჩენილი არქეოლოგიური ნიმუშებით დასტურდება, დღესაც ცოცხალია ჩვენს ყოველდღიურობაში. და, რა თქმა უნდა, სუფრასთანაა დაკავშირებული ქართული ღვინის მირთმევის კულტურაც. ალბათ ყველა თქვენგანი იცნობს საქართველოს, როგორც ღვინის სამშობლოს. ჩვენ ვამაყობთ, ამ ღვთაებრივი სასმლის დამზადების რვაათასწლოვანი უწყვეტი ტრადიციით, რაც არქეოლოგიური აღმოჩენებით დასტურდება. მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოება აღიარებს, რომ მეღვინეობის უძველესი კვალი, დათარიღებული 8 ათასი წლით სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე იქნა აღმოჩენილი, საიდანაც ის შემდეგ გავრცელდა მთელ მსოფლიოში და უდიდესი გავლენა იქონია სოფლის მეურნეობის, ხალხთა კულტურის, ბიოლოგიის, მედიცინისა და, ზოგადად, ცივილიზაციების განვითარებაზე.

სწორედ ამიტომ გამოცხადდა იუნესკოს მიერ ქვევრის ღვინის დაყენების ტრადიცია მსოფლიო არამატერიალური კულტურის ძეგლად.

საქართველოში ითვლიან 500-ზე მეტ ადგილობრივ უძველეს ჯიშს, რომლებიც საქართველოს თითქმის ყველა რეგიონს მოიცავს. ღვინის ქვეყანაში, ისტორიულად, თითქმის ყველა ოჯახს ჰქონდა საკუთარი მცირე მარანი. ვაზი და ღვინო საღმრთო, რიტუალურ, რელიგიური კულტის დონემდე იყო აყვანილი იმდენად, რომ სამშობლოს ყველაზე მაღალ ეპითეტად ვენახთან შედარებას იყენებდნენ; ქებათა-ქება ვაზისადმი – "შენ ხარ ვენახი", საგალობლად და ერთგვარ ეროვნულ ჰიმნად იქცა. ეს არის ლოცვა ქართველი კაცისა, ვისთვისაც მამული, ვაზი და ვაზის ლერწით შეკრული ქართველთა გამაქრისტიანებელი ჯვარი ერთ სიმაღლეზე დგას. ქრისტიანობის ისტორიამ არ იცის მსგავსი და თან უფრო პოეტური ფორმა ქრისტეს სჯულზე მოქცევისა.

ვამაყობ, რომ მქონდა პატივი, ხელი მომეწერა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებაზე (DCFTA), რომელმაც გაზარდა ქართული ღვინის ცნობადობა და მოთხოვნა საერთაშორისო ბაზრებზე, ქართული მეღვინეობის სექტორი კიდევ უფრო განვითარდა, რაც 8 000 წლის წინ დაწყებული ისტორიის ღირსეული დღევანდელი დღეა.

მდიდარ ტრადიციებზე იზრდებოდა, ეფუძნებოდა და აგრძელებდა თანამედროვე საქართველოს შემოქმედი ყველა თაობა – ჩვენი დიდი განმანათლებლები სულხან-საბა და ვახტანგ მეექვსე, დიდი რეფორმატორი და ევროპული მოდერნიზაციის მოთავე მეფე ერეკლე II, მოგვიანებით – ილია ჭავჭავაძე. ევროპული საგანმანათლებლო სისტემის დამკვიდრებას ისახავდა მიზნად ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც 1918 წელს კავკასიაში ერთ-ერთი პირველი უნივერსიტეტი დააფუძნა. ის გახდა ქართველ ინტელექტუალთა ევროპასთან დამაკავშირებელი ხიდი.

ამ ტრადიციების პირმშოა ქართული მეცნიერება, მსოფლიო კულტურის საგანძურის ნაწილია თანამედროვე ქართული თეატრი, კინო, საოპერო და საბალეტო ხელოვნება, სახვითი ხელოვნება, მწერლობა და პოეზია.

სამართლიანად ვამაყობთ 1918 წელს საქართველოს პირველი რესპუბლიკის მონაპოვრით, რომლის კონსტიტუცია მსოფლიოში ერთ-ერთ სანიმუშო სახელმწიფოებრივი მოწყობის მთავარ დოკუმენტად ითვლება, პროგრესული დემოკრატიული წყობით, რომელმაც მეოცე საუკუნის დასაწყისში, მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველმა გააუქმა სიკვდილით დასჯა, დაადგინა სიტყვის, გამოხატვისა და

გვ.3 →

← გვ.2 რწმენის თავისუფლება, განამტკიცა ეროვნულ უმცირესობათა უფლებები. დაადგინა ქალთა და მამაკაცთა პოლიტიკური, სამოქალაქო, ეკონომიკური თანასწორობა.

მინდა აღვნიშნო, რომ 1918 წელს სწორედ გერმანია იყო პირველი სახელმწიფო, რომელმაც დე ფაქტო აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, ხოლო 1992 წელს ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

გვეამაყება ისიც, რომ ევროპის ერთიანობის იდეის ერთ-ერთი ავტორი, ევროკავშირისა და მისი კონსტიტუციის თანაშემოქმედი ჩვენი თანამემამულე – მიშელ მუსხელიშვილი იყო.

ვფიქრობ, ეს ყველაფერი ცხადყოფს, რომ ქართველები არა მხოლოდ ნაწილი, არამედ – თანაშემოქმედნი ვიყავით თანამედროვე ევროპული ცივილიზაციისა.

შეუძლებელია აღნიშვნის გარეშე დავტოვო საქართველოს უნიკალური ბუნება. ჩვენი ბუნებრივი საგანძურის ხილვა გულგრილს ვერავის ტოვებს – საქართველოს ჭარბტენიანი ტერიტორიები, UNESCO-ს გადაწყვეტილებით, მსოფლიოს 213 ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხას დაემატა და ღირსეული ადგილი მოიპოვა ამაზონის ტყის, გრანდ კანიონის ეროვნული პარკის, იელოუსტოუნის ეროვნული პარკის, მთა ეტნას, შვეიცარიის ალპების გვერდით. არცთუ დიდ ფართობზე, ჭარბტენიან ტერიტორიებთან ერთად, საქართველო თავს იწონებს მაღალი მთის უნიკალური ეკოსისტემებით (ყაზბეგი, თუშეთი, ხევსურეთი), ნახევრად უდაბნო ვაშლოვანით, სადაც შექმნილია ბიორეზერვატები. საქართველოს ტერიტორიაზე (ჯავახეთი და შავიზღვისპირეთი) გადის ფრინველთა საემიგრაციო გზა, რომელიც თავისი მნიშვნელობით მსოფლიოში მესამეა.

სწორედ ამიტომ, საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 12% დაცულია. დაცული ტერიტორიების ისტორია საქართველოში ლაგოდეხის ნაკრძალის შექმნით, 110 წლის წინ იწყება. ბუნებრივი სიმდიდრის დაცვა აქტიურად გრძელდება, რასაც დღეს, კლიმატის ცვლილებით შექმნილი გამოწვევის ფონზე, კიდევ უფრო დიდი და განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

დღეს აქ ამ ისტორიის, ჩვენი პატარა ქვეყნის დიდი კულტურის მხოლოდ მცირე ნაწილია წარმოდგენილი. იმედი გვაქვს, ეს თქვენ სურვილს გაგიჩენთ, ადგილზე ეწვიოთ ჩვენს ქვეყანას და უკეთ გაიცნოთ ჩვენი თვალწარმტაცი ბუნება, დიდი ისტორია და კულტურა, რაც მთავარია – მშრომელი, გულღია და უსაზღვროდ სტუმართმოყვარე ქართველი ხალხი.

იქ თითოეულ ქართველთან შეხვედრისას, ყველა ოჯახში სტუმრობისას, თქვენ შეხვდებით ფენომენს, რომელიც ლაიტმოტივად გასდევს მთელ ჩვენს ისტორიას – ქართულ სტუმართმოყვარეობას.

ისინი, ვინც უკვე ყოფილან საქართველოში – იცნობენ ამ ფენომენს და იციან, რომ ქართული სტუმართმოყვარეობა – მართლაც უსაზღვროა.

ქართული გამოთქმა ამბობს: "სტუმარი – ღვთისაა". ჩვენთან სტუმარი უფლის საჩუქრად მიაჩნიათ და ყველაფერი საუკეთესო მისთვის ემეტებათ.

ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები, დიდი ქართველი მწერლისა და პოეტის ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი" სწორედ ამ ტრადიციას, დაუწერელ, მაგრამ ყველასთვის სავალდებულო წესს აღწერს.

რა თქმა უნდა, სტუმართმოყვარეობა ყველა ხალხისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ ქართველისთვის იგი იდენტობის განმსაზღვრელი, ხელშეუხებელი, დროისა და გარემოებების ცვლილებების მიუხედავად, მუდამ ცოცხალი ტრადიციაა. ქართული ხასიათის ეს უნიკალური თვისება არსად გამქრალა ისტორიის ყველაზე რთულ, დრამატულ პერიოდებშიც კი.

დღეს ჩვენ განსაკუთრებული როლი გვერგო – ჩვენ სტუმრად ვართ ევროპაში და, ამავდროულად, გმასპინძლობთ საქართველოს სახელით. ეს ჩვენთვის უდიდესი პატივია.

ქალბატონებო და ბატონებო, მოწვეულო სტუმრებო,

მსურს, ჩვენი ქვეყნის სახელით, მადლობა გადაგიხადოთ მობრძანებისთვის და გითხრათ: ევროპის თავისუფალ ერთა ოჯახის წევრობისკენ სწრაფვისას ჩვენ მდიდარი და უნიკალური ისტორია და კულტურა გვიმაგრებს ზურგს.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ჩვენი ქვეყნის 20% რუსეთის მიერ არის ოკუპირებული და დგას უამრავი გამოწვევის წინაშე, საქართველო არის ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო ქვეყანა ევროპაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ნებისმიერი ვიზიტორისთვის, რომელიც მობრძანდება ჩვენს ქვეყანაში. და დღეს საქართველოს ეკონომიკა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდია, ყველა იმ გამოწვევის მიუხედავად, უკრაინაში მიმდინარე დამანგრეველი, რუსეთის მხრიდან გაუმართლებელი ომის მიუხედავად.

დღევანდელი საქართველოს ხელისუფლება და ხალხი ყველაფერს ვაკეთებთ ჩვენი მიზნის მისაღწევად. დღეს, როდესაც ევროკავშირის საბჭომ აღიარა საქართველოს ევროპული პერსპექტივა, ჩვენ ისე ახლოს ვართ ჩვენს ცივილიზაციურ არჩევანთან, როგორც არასდროს; ახლა თითოეული ქართველის ძალისხმევა მიმართულია იმისკენ, რომ მალე დადგეს დღე, როდესაც ევროპის რუკაზე საქართველო საბოლოოდ დაიმკვიდრებს ადგილს, რომელსაც ჩვენი ისტორიითა და კულტურით, ჩვენი წარსულითა და თანამედროვეობით ვიმსახურებთ; დღე, როდესაც თქვენთან ერთად ამაყად ვიტყვით – ევროპაში ჩვენ მასპინძლები ვართ.

კიდევ ერთხელ მსურს, მადლობა გადავუხადო გერმანიის მთავრობას, ვიცე-კანცლერს, ქალაქის მერს, ორგანიზატორებს ჩვენი აქ მოწვევისათვის, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ბოლო 1 წლის განმავლობაში ჩვენს ორმხრივ ურთიერთობებს უპრეცედენტო დინამიკა აქვს, რისი ნათელი დადასტურებაცაა დღეს ჩვენი მასპინძლობა ამ ღონისძიებაზე".

მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური

დუშეთის მუნიციპალიტეტსა და USAID-ის პროგრამას („ძლიერი სოფელი") შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა



მემორანდუმზე ხელმოწერის ცერემონიას ადგილობრივ საზოგადოებასთან ერთად რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანი, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი მანანა ნარიმანიძე, საკრებულოს თავმჯდომარე კახაბერ ჩიტაური, USAID-ის მისიის ხელმძღვანელის მოადგილე დევიდ ჰოფმანი და ძლიერი სოფლის პროგრამის მენეჯერი დინა კარიჩი დაესწრნენ.

აღნიშნული მემორანდუმი USAID-ის პროგრამასა და დუშეთის მუნიციპალიტეტს შორის თანამშრომლობის პირობებს განსაზღვრავს, რაც გულისხმობს მუნიციპალური განვითარების ყოვლისმომცველი და ინკლუზიური სტრატეგიის შემუშავებას. ამ პროცესში აქტიურად იქნებიან ჩართული საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები. სტრატეგიის დოკუმენტში წარმოდგენილი იქნება მუნიციპალიტეტის განვითარების პრიორიტეტები და განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საქართველოს ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან მდებარე თემების მდგრადობის გაძლიერებას

ამ მიმართულებით USAID ეხმარება საქართველოს 11 მუნიციპალიტეტს, რათა შეიქმნას მოსახლეობის ადგილზე დასაქმებისა და მათი განვითარებისათვის მნიშვნელოვანი პირობები.

პარტნიორობის ფარგლებში, USAID-ის პროგრამა „ძლიერი სოფელი" მხარს დაუჭერს დუშეთის მუნიციპალიტეტს ეკონომიკური და სხვა სახის რისკებთან გამკლავების უნარების განვითარებაში. აღნიშნული პარტნიორობა ინკლუზიური, მდგრადი და კერძო სექტორზე ორიენტირებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წინაპირობაა და დუშეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეთა მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება.



მიწის ნაკვეთზე მარცვლოვანი ნაწვერალის გადაწვისთვის მკაცრი ჯარიმა წესდება

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფეისბუკგვერდის ინფორმაციის მიხედვით, მიწის ნაკვეთზე მარცვლოვანი ნაწვერალის გადაწვისთვის მკაცრი ჯარიმა წესდება. მთავრობამ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანონპროექტი მოიწონა.

ცვლილებების მოსალოდნელი შედეგი გავრცელებული მავნე პრაქტიკის - მოსავლის აღების შემდეგ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ცეცხლის წაკიდების აღმოფხვრა და შემაკავებელი ეფექტის შექმნაა. დღეს კანონმდებლობაში არ არსებობს ამ სახის პირდაპირ გათვალისწინებული სამართალდარღვევა და შესაბამისი სანქცია.

„გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს დაცვის კუთხით არაერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა ჰქონდა ბოლო პერიოდის განმავლობაში. ვაგრძელებთ ამ პროცესს, როგორც ატმოსფერული ჰაერის ხარისხის კუთხით, ასევე სამრეწველო საწარმოებისა და ავტომანქანებიდან გამონაბოლქვის კონტროლის მიმართულებით. ეს საკითხი, რომელზეც მთავრობამ იმსჯელა ერთ-ერთი ის გამოწვევაა, რომელსაც ჩვენ ყოველ შემოდგომაზე ვაკვირდებით, ძირითადად კახეთის რეგიონში. სამწუხარო პრაქტიკაა, როცა ფერმერების მხრიდან ხდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გადაწვა, რაც დიდ ზიანს აყენებს ნიადაგს და ძალიან დიდი გამოწვევების წინაშე შეიძლება დავდგეთ ამ ცეცხლის გავრცელების კუთხით. აქამდე არ გვქონდა ქმედითი მექანიზმი ამის საწინააღმდეგოდ და დღეს, მთავრობამ მოიწონა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების პროექტი, რომელიც წარედგინება პარლამენტს“, - განაცხადა ოთარ შამუგიამ.

როგორც არსებულმა პრაქტიკამ აჩვენა, ბოლო დროს გახშირებულია შემთხვევები, როდესაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მფლობელები მოსავლის აღების შემდგომ მიწის ნაკვეთზე დარჩენილი ნაწვერალს ცეცხლს უკიდებენ, რაც დიდად აზიანებს როგორც ნიადაგს, ასევე - გარემოს. ამასთანავე, დიდია მიმდებარე ნაკვეთებზე, მინდვრებზე, ტყეებზე ან დასახლებულ პუნქტებზე ხანძრის გავრცელების ალბათობა. მიზანშეწონილია, ასეთი ქმედებისათვის არსებობდეს შემაკავებელი ეფექტის მქონე მკაცრი ადმინისტრაციული ჯარიმა.

კანონპროექტის თანახმად, მიწის ნაკვეთზე არსებული მარცვლოვანი მცენარეებისთვის (მათ შორის მათი ნაწვერალისთვის) ცეცხლის წაკიდებისთვის წესდება ადმინისტრაციული ჯარიმა - ფიზიკური პირებისთვის თითოეულ ჰექტარზე 1 000 ლარის, იურიდიული პირებისთვის კი - 2 000 ლარის ოდენობით. აღნიშნული სანქციები გამოიწვევს მიწის ნაკვეთის მესაკუთრის, მფლობელი ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის დაჯარიმებას.

„გაიღე სისხლი - გადაარჩინე სიცოცხლე"



15 მარტს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ორგანიზებით, ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტის სისხლის ბანკმა დუშეთის მუნიციპალიტეტში სისხლის უანგარო დონაციის აქცია გამართა.

აქციაში ადგილობრივ მოხალისეებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერმა მანანა ნარიმანიძემ, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ასლამაზიშვილმა, მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებმა.

სისხლის უანგარო 80 დონორს სიმბოლურად მადლობის სიგელი გადაეცა.

აღსანიშნავია, რომ გაღებული სისხლი განაწილდება საქართველოს მასშტაბით არსებულ კლინიკებში, რომელსაც გადაუდებელი შემთხვევებისთვის გამოიყენებენ.

შეხვედრა მეთორმეტეკლასელთათვის

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალური ფეისბუკგვერდის ინფორმაციით, ღია კარის დღეების ფარგლებში, საინფორმაციო შეხვედრა 2023 წლის გამოცდებთან დაკავშირებით ამჯერად დუშეთის მუნიციპალიტეტის მეთორმეტეკლასელებისათვის ჩატარდა.

გამოსაცდელებმა მიიღეს დეტალური ინფორმაცია, თუ როგორ უნდა დარეგისტრირდნენ გამოცდების ჩასაბარებლად, რა პროცედურების გავლაა საჭირო და რა უნდა გაითვალისწინონ როგორც გამოცდებისათვის მომზადების პერიოდში, ასევე - გამოცდების მიმდინარეობისას.

აღსანიშნავია, რომ ცენტრის წარმომადგენლები საინფორმაციო შეხვედრებს აბიტურიენტებისათვის ქვეყნის მასშტაბით რეგულარულად მართავენ.

გაიმართა მცხეთა-მთიანეთის სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონალური თამაში 3x3 კალათბურთში

ოლიმპიადაში მონაწილეობდნენ სოფელ საგურამოს, ქალაქ დუშეთის N1, დაბა თიანეთის N1 და ახალგორის (წეროვნის N3) საჯარო სკოლების ვაჟთა გუნდები, ასევე - სოფელ ძეგვის, სოფელ მჭადიჯვრისა და დაბა თიანეთის საჯარო სკოლების გოგონათა გუნდები. საპრიზო ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა:

გოგონათა გუნდები:

I ადგილი - სოფელი ძეგვი;
II ადგილი - დაბა თიანეთი;
III ადგილი - სოფელი მჭადიჯვარი;

ვაჟთა გუნდები:

I ადგილი - სოფელი საგურამოს საჯარო სკოლა;
II ადგილი - ქ.დუშეთის N1 საჯარო სკოლა;
III ადგილი - ახალგორის (წეროვნის N3-ის) საჯარო სკოლა;

საპრიზო ადგილზე გასულ სკოლებს გადაეცათ თასები, მედლები და სიგელები.

შეჯიბრებას ესწრებოდნენ მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე გოჩა ქავთარაძე, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ჯონი ბერუაშვილი, ადგილობრივი ხელისუფლებისა და შესაბამისი სამსახურების სხვა წარმომადგენლები.

ღონისძიება სამხარეო ადმინისტრაციის, დუშეთის მერიის, საკრებულოსა და ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების ხელშეწყობით ჩატარდა.

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N8

2023 წლის 24 თებერვალი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის ჭონქაძის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ არაგვისპირში მდებარე უსახელო ქუჩისთვის ალექსანდრე ყაზბეგის სახელის მინიჭების შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე.“ ქვეპუნქტის და „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის ჭონქაძის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ არაგვისპირში მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ქართველი მწერლის - ალექსანდრე ყაზბეგის სახელი თანდართული რუკის შესაბამისად.
2. დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების გატარება .
3. განკარგულება გადაეგზავნოს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიას, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.
4. განკარგულება გადაიგზავნოს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში და გამოქვეყნებულ იქნეს მიღებიდან 10 დღის ვადაში.
5. განკარგულება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.
6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში კანონით დადგენილი წესით მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.მცხეთა, სამხედროს ქუჩა N17).

საკრებულოს თავმჯდომარე *კახაბერ ჩიტაური*

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N9

2023 წლის 24 თებერვალი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩანადირთკარში მდებარე უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე.“ ქვეპუნქტის და „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩანადირთკარში მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მერვე ქუჩის სახელი თანდართული რუკის შესაბამისად.
2. დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების გატარება .
3. განკარგულება გადაეგზავნოს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიას, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.
4. განკარგულება გადაიგზავნოს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში და გამოქვეყნებულ იქნეს მიღებიდან 10 დღის ვადაში.
5. განკარგულება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.
6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში კანონით დადგენილი წესით მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.მცხეთა, სამხედროს ქუჩა N 17).

საკრებულოს თავმჯდომარე *კახაბერ ჩიტაური*

საინფორმაციო ხასიათის ტრენინგი საკრებულოში

10 მარტს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები დაესწრნენ საინფორმაციო ხასიათის ტრენინგს, რომელსაც პროექტის კონსულტანტი ნოდარ ტანგიშვილი უძღვებოდა. აღნიშნული ტრენინგი მიეძღვნა მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტთან დაკავშირებულ საკითხებს. ეს არის უმთავრესი პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულ საჯარო სფეროებში პრობლემების გადაწყვეტის ან/და საჯარო სერვისების განვითარების გზებს. მასვე განეკუთვნება ადგილობრივი ხელისუფლების მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრაც, საბოლოოდ კი ორიენტირებულია ადგილობრივი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

დოკუმენტის დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე მნიშვნელოვანია წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს როლი. საკრებულოს წევრს უფლება აქვს, ჩაერთოს შესაბამისი სამუშაო ჯგუფის მუშაობაში, წარადგინოს მოსახლეობის ინტერესი და შეიმუშაოს რეკომენდაციები. დოკუმენტის დამტკიცება საკრებულოს კომპეტენციას განეკუთვნება.

საინფორმაციო ხასიათის ტრენინგი კითხვა-პასუხის რეჟიმით წარიმართა.

საინფორმაციო ბიულეტენი „დუშეთის მაცნე”

ინტერნეტითაც ხელმისაწვდომია

მკითხველს საშუალება ეძლევა, ელექტრონულ ვერსიას გაეცნოს Facebook-ის დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გვერდზე.

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N10

2023 წლის 24 თებერვალი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის ჭოპორტის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წითელსოფელში მდებარე უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე.“ ქვეპუნქტის და „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის ჭოპორტის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წითელსოფელში მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს პირველი ქუჩის სახელი თანდართული რუკის შესაბამისად.
2. დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების გატარება.
3. განკარგულება გადაეგზავნოს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიას, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.
4. განკარგულება გადაიგზავნოს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში და გამოქვეყნებულ იქნეს მიღებიდან 10 დღის ვადაში.
5. განკარგულება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.
6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში კანონით დადგენილი წესით მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქუჩა N17).

საკრებულოს თავმჯდომარე *კახაბერ ჩიტაური*

ძვირფასო მკითხველო,



თექვსმეტი წელია, **„დუშეთის მაცნე“** გამოიცემა. ამ ხნის მანძილზე უამრავი რამ მოხდა ჩვენს ცხოვრებაში, ერთად გვიხაროდა და გვტკიოდა დუშეთის ცხოვრების სიახლეები, პრობლემები, ყველაფერი, რასაც ადგილობრივი ხელისუფლება აკეთებდა და აკეთებს... და ეს საინფორმაციო ბიულეტენიც ხომ იმისათვის არსებობს, რომ თქვენი სათქმელი ხელისუფლებამდე მიიტანოს და, პირიქით, მათი გადაწყვეტილებები და ნაფიქრი გაგიზიაროთ.

სურვილი გვაქვს, კვლავაც ერთად ვიაროთ, გავუზიაროთ ერთმანეთს ტკივილიც და სიხარულიც. ამიტომაც გთხოვთ, მოგვწეროთ, გამოხატოთ თქვენი დამოკიდებულება თქვენ მიერვე არჩეული ხელისუფლების მუშაობისადმი, იმ პროექტების მიმართ, რომელიც ბოლო პერიოდში ხორციელდება დუშეთში. შევეცდებით, კვლავაც აქტიურად გავაშუქოთ ის საკითხები, რომლებიც გაინტერესებთ. რედაქცია ელის თქვენს წერილებსა და გამოხმაურებას.

რედაქცია

დანიელ ჭონქაძის ცხოვრება და შემოქმედება

ოჯახი და წინაპრები



ცნობილი ქართველი მწერალი და პედაგოგი დანიელ ჭონქაძე 1830 წლის 18 მარტს მაშინდელი დუშეთის მაზრის სოფელ ყვავილში დაიბადა.

დანიელის წინაპრები სასულიერო პირები იყვნენ. ისინი აგრეთვე ირიცხებოდნენ სამეფო ყმებად. პაპა - შიო ჭონქაძე - დეკანოზი გახლდათ. იგი არაგვის საერისთავოს გამგებლის, მეფის ძის ვახტანგის, კარის მოძღვარი ყოფილა. ეს უკანასკნელი თურმე დიდად აფასებდა შიოს თავისი განათლებისა და ერთგულების გამო. ცნობილია, რომ მას მიმოწერა მაშინაც არ შეუწყვეტია, როცა იგი საქართველოს სამეფოს გაუქმების შემდეგ რუსეთში გადაასახლეს. არსებობს შიოსადმი პეტერბურგიდან მოწერილი მისი წერილები. შიო ჭონქაძეს ჰყავდა შვილები: ადამი, პეტრე, ქრისტეფორე და გიორგი - მწერლის მამა, რომელიც ჯერ საქართველოში ეწეოდა მღვდელმოქმედებას, შემდგომ კი - ოსეთში, სადაც ქრისტიანობის გავრცელების მიზნით გაამწესეს. 1846 წელს სწორედ იქ თავს დასხმიან მამა გიორგის და მოუკლავთ.

დედას მელანია ერქვა. ბიოგრაფიიდან ირკვევა, რომ იგი მეტად მშრომელი და განათლებული ქალბატონი ყოფილა. მან შეასწავლა პატარა დანიელს წერა-კითხვა. მელანია სოფ. ყვავილის სასაფლაოზე მდებარე წმ. მარინეს ტაძრის (ამჟამად ნანგრევის სახითაა შემორჩენილი...) სიახლოვესაა დაკრძალული. სწორედ იქ სურდა დასაფლავება მწერალს, თუკი სოფელში გარდაიცვლებოდა, რაც საგანგებოდ აქვს აღნიშნული თავის ანდერძში.

დანიელ ჭონქაძეს ჰყავდა დებიც - სარა და ეკატერინე. სარაზე ცნობები არ მოგვეპოვება. ეკატერინე კი გახლდათ ცოლი ანჩისხატის მოძღვრისა - მღვდელ გრიგოლ პავლიევისა. სწორედ მათ გაზარდეს დანიელის ობლად დარჩენილი მცირეწლოვანი შვილი - გიორგი.

მწერლის შვილი - გიორგი ჭონქაძე

მწერლის ერთადერთი ვაჟი, გიორგი ჭონქაძე, 1855 წელს დაიბადა. დედამისი, ანა ფეოდოროვა, მშობიარობიდან მალევე გარდაიცვალა. ახალშობილის აღზრდა ითავა მამიდამ - ეკატერინემ.

გიორგი საკმაოდ განათლებული, აქტიური პიროვნება იყო. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა დუშეთის მაზრაში გუბერნატორის მოადგილედ, ახალციხეში კი - მომრიგებელ-მოსამართლედ. გარდაიცვალა 1915 წელს, 60 წლის ასაკში. დაკრძალულია ახალციხეში.

მწერლის მემკვიდრეს ცოლად ჰყავდა მარიამ ფომინა, ეროვნებით რუსი, რომელმაც ღრმა სიბერემდე იცოცხლა. მარიამი სოფ. ყვავილში, დანიელისეულ სახლში, ცხოვრობდა - იქ, სადაც დღეს დ. ჭონქაძის სახლ-მუზეუმია, ე.წ. „ჭონქაძეების დარბაზი“. ადგილობრივი მცხოვრებნი მას „ქალბატონს“ ეძახდნენ, ხოლო სახლს - „ქალბატონის სახლს“. სოფ. ყვავილში უფროსი თაობის წარმომადგენლებს კარგად ახსოვთ ის კარ-მიდამო: ორსართულიანი სახლი, ვრცელი ეზო, კოხტა შადრევნითა და ნაირნაირი ხეხილით, ბზის ხეივნით. იგი 1936 წელს გარდაიცვალა.

გიორგი ჭონქაძესა და მარიამ ფომინას შვილი არ შესძენიათ. ამდენად, მწერლის პირდაპირი გენეალოგიური ხაზი აქ წყდება, თუმცა სოფელ ყვავილში დღესაც ცხოვრობენ ჭონქაძეები, რომლებიც დანიელ ჭონქაძის ბიძაშვილთა შთამომავლები არიან...

გიორგი ჭონქაძე და მარიამ ფომინა

მწერლის მშობლიურ სოფელში გასული საუკუნის 70-იან წლებში აშენდა სკოლის ახალი შენობა, რის გამოც დიდწილად შევიწროვდა დანიელისეული სახლის ეზო. ამ ეზოში დღეს კიდევ შემორჩენილია თითო-ოროლა ხე (ცაცხვი, თუთა და ნაძვი), რომლებიც სწორედ იმ დროისაა, როცა იქ მწერლის ვაჟი ცხოვრობდა.

რაც შეეხება დარბაზს... მისი მნიშვნელობისა და არქიტექტურული ღირსების შესახებ აღნიშნულია, რომ იგი ქართლური დარბაზების სტილს განეკუთვნება და სავარაუდოდ თარიღდება მე-18 საუკუნით.

2018 წელს დანიელ ჭონქაძის სახლ-მუზეუმს მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.

მუზეუმის ეზოში დგას მწერლის ბიუსტი. დაცულია მემორიალური ნივთები და სამუზეუმო ექსპონატები.

ვლადიკავკაზში, სტავროპოლსა და თბილისში

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მწერლის მამა, მღვდელი გიორგი, XIX საუკუნის 30-იან წლებში ვლადიკავკაზში გაამწესეს ქრისტიანობის გასავრცელებლად. მან მოგვიანებით თან წაიყვანა ცოლ-შვილი. დანიელი ამ დროს 9 წლისა იყო. იგი მიაბარეს ვლადიკავკაზის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც 1845 წელს წარჩინებით დაასრულა. 1845-1851 წლებში იგი უკვე თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეა და იღებს საფუძვლიან განათლებას.

თბილისის სასულიერო სემინარიაში დანიელი საუკეთესო მოსწავლედ ითვლება. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს მამით ობლდება და საკმაოდ უჭირს მატერიალურად, სწავლას გულმოდგინედ აგრძელებს და ყველას სჯობნის. სემინარიის ინსპექტორი გერასიმე ქიქოძე (შემდგომში ცნობილი გაბრიელ ეპისკოპოსი) ოფიციალურ დახასიათებაში წერს: „განსაკუთრებულ მოწონებას იხვეჭდა თავის საქმეში კეთილზნეობით... იჩენდა თავდაჭერილობას, სწავლისადმი ხალისს და ღვთის მსახურებისადმი ერთგულებას“.

დანიელ ჭონქაძე სემინარიაში სწავლობდა სრულ საეკლესიო ხარჯზე. 1851 წელს გაცემულ მის ატესტატს, რომელიც ადასტურებს მაღალ აკადემიურ მოსწრებას, ხელს აწერენ სემინარიის რექტორი,

გიორგი ჭონქაძე

არქიმანდრიტი ფლავიანე და სემინარიის ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელი - გერასიმე ქიქოძე (ეპისკოპოსი გაბრიელი).

სემინარიის მმართველობამ დ. ჭონქაძე შეგირდთა შორის პირველ ხარისხში ჩარიცხა.

ირკვევა, რომ დანიელს სურვილი ჰქონდა, სამსახური თბილისში ეშოვა. ბუნებრივიცაა: ამით, ერთი მხრივ, არ ჩამოშორდებოდა აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას, მეორე მხრივ, კიდევ უფრო ახლო იქნებოდა მშობლიურ სოფელთან. ცნობილია, რომ იგი ზაფხულს მუდამ ყვავილში ატარებდა - ბიძაშვილებისა და თანასოფლელთა გარემოცვაში. მაგრამ იმ ეტაპზე მისთვის სამუშაო ადგილის გამონახვა დედაქალაქში ვერ მოხერხდა. იძულებულია, დასთანხმდეს შემოთავაზებას და 1851 წელს ოსური ენის მასწავლებლად დაიწყოს მუშაობა სტავროპოლის სასულიერო სემინარიაში. სტავროპოლში დანიელი 1855 წლამდეა. ამ დროს დაოჯახდება - ცოლად შეირთავს ეროვნებით რუს ანა თეოდორეს ასულ ფეოდოროვას, რომელიც 17 წლის იყო. ანა 1 წლის შემდეგ გარდაიცვალა. საეკლესიო წიგნის ჩანაწერის მიხედვით: „მშობიარების მიზეზით“.

1855 წელს დანიელ ჭონქაძე ინიშნება ქ. თბილისის სასულიერო სემინარიის ოსური ენის პედაგოგად. იგი მასწავლებლობას იწყებს მთელი ენერგიითა და მონდომებით. ოფიციალური ცნობებით ირკვევა, რომ განსაკუთრებით ზრუნავს მოსწავლეთა განათლებისთვის, მათთვის საჭირო სახელმძღვანელოების შოვნასა თუ თარგმანზე. სემინარიის ხელმძღვანელობის მიმართ ვხვდებით არაერთ პატაკსა თუ თხოვნას, რომლითაც ირკვევა, თუ როგორ წუხს დანიელი საჭირო სახელმძღვანელოს უქონლობის გამო. სწორედ ეს გარემოება განაპირობებს იმას, რომ დანიელი თავად იწყებს მოძიებასა და თარგმნას საჭირო წიგნებისას.

აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში დანიელი იღებს მეტად საპასუხისმგებლო დავალებას: მას, როგორც ოსური ენის შესანიშნავ მცოდნეს, რუსეთის საიმპერიო აკადემია ავალებს, შეადგინოს რუსულ-ოსური ლექსიკონი. იგი დიდი პასუხისმგებლობითა და პატივით დაიწყებს მინდობილ საქმეს, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ შეძლებს: მისი ჯანმრთელობა მეტად გაუარესდება და იძულებული გახდება, ჩამოშორდეს მუშაობას. „მე ამ შრომას ხელი მოვკიდე მთელი ჩემი ენერგიით ისე, როგორც შეშვენის ახალგაზრდას, რომელსაც სურს კარიერის შექმნა, მაგრამ ეს შრომა სამ ასოზედაც არ მქონდა შედგენილი, რომ დამეწყო სისხლის ღებინება“ (ამონარიდი ცოლისძმისადმი მიწერილი წერილიდან).

საერთოდ, დანიელი სუსტი აგებულებისა გახლდათ. თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლისას მასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ პერიოდულად აწუხებდა გულის ფრიალი, მკერდში ჭვალი და სხვ. ერთი მხრივ მეუღლის უდროოდ გარდაცვალებამ, შეუნელებელმა გონებრივმა შრომამ, პედაგოგიურმა მოღვაწეობამ და, მეორე მხრივ, ეკონომიურმა გაჭირვებამ კიდევ უფრო შეარყია მწერლის ჯანმრთელობა - ჭლექით დაავადდა, რაც იმხანად უკურნებელ სენად ითვლებოდა.

1858 წლის ოქტომბერში იგი ინიშნება უწმინდესი სინოდის მაგიდის გამგედ. პარალელურად, აგრძელებს პედაგოგიურ მოღვაწეობას.

საგულისხმოა, რომ სემინარიაში მოღვაწეობისას იგი მასწავლებელი იყო ცნობილი ქართველი მწერლის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის - იაკობ გოგებაშვილისა. იაკობს აქვს რამდენიმე საყურადღებო ცნობა ამასთან დაკავშირებით.

მწერლის ანდერძი და გარდაცვალება

დანიელის მდგომარეობა თანდათან უიმედო გახდა, რაც, ცხადია, ყველაზე უკეთ თვითონ იგრძნო. 1859 წლის 6 აპრილს მან შეადგინა ანდერძი. ეს არის ნიმუში, თუ როგორ უნდა წერდეს ანდერძს ნამდვილი ქრისტიანი. აქ ჩანს კეთილშობილური ბუნება მწერლისა, რომელიც გულწრფელად ითხოვს შენდობას მოკეთეთაგან, ამასთან, განმტკიცებულია მომავალი საუკუნო ცხოვრების რწმენით. მოგვყავს ანდერძის ქართულად ნათარგმნი ტექსტი, რადგანაც ის მწერალს რუსულად შეუდგენია:

ვერის ბაღში მდებარე საფლავი

„შეპყრობილი ისეთი ავადმყოფობით, რომლის მორჩენა შეუძლებელია, და ყოველდღიურად სიკვდილის მომლოდინე, მტკიცე შეგნებით ვწერ ანდერძს:

1. ჩემი ნების აღმსრულებელნი იქნებიან: ჩემი და - ეკატერინე პავლიევისა და სიძე - მღვდელი გრიგოლ პავლიევი;

2. მეურვე ჩემი ობლისა იყოს ჩემი სიძე გრიგოლ პავლიევი და მზრუნველობა დაივალოს ჩემმა დამ, ეკატერინემ, რომელიც დაბადებიდანვე იმას უწევდა დედის მაგივრობას. ვთხოვ, მათი მეურვეობის ქვეშ იქნეს ჩემი შვილის ქონება, რომ ისინი დამოუკიდებლად, თავიანთი შეხედულებისამებრ განაგებდნენ ქონებას, ისე, როგორც თვითონ ჩათვლიან საჭიროდ. მამული, რომლის მეურვე იქნება ჩემი სიძე, მდებარეობს დუშეთის მაზრაში, სოფ. ყვავილში. იგი შედგება სახნავი მიწისა და ბაღისაგან არაგვისპირში, რაც კარგად იცის ჩემმა დამ.

3. მე დამასაფლავეთ გაუზვიადებლად, უბრალოდ. თუ ტფილისში გარდავიცვლები - ცოლის გვერდით, თუ სოფელში - დედის გვერდით;

4. ჩემი შვილის მეურვეს შეუძლია მთავრობის ჩაურევლად გაყიდოს ჩემი ყველა ნივთი. თანხის ნაწილი მოიხმაროს ჩემი დასაფლავებისთვის, ნაწილიც - ჩემი შვილის აღზრდაზე;

5. არ გაიყიდოს მხოლოდ ჩემი ძველი ხელნაწერები, ისინი შენახულ იქნეს შვილისთვის.

6. ვთხოვ ჩემს ყველა ნათესავს, ანუგეშონ საწყალი ჩემი და. ვთხოვ მას, თავს გაუფრთილდეს მისი და ჩემი შვილის გულისთვის. მე კი ვილოცებ. რა თქმა უნდა, ადრე თუ გვიან, იქ შევხვდებით ერთმანეთს. საწყალი ჩემი და...

გვ.7 →

← გვ.6 როგორ გულდამშვიდებული მოვკვდები, რომ ვიცოდე, რომ იგი გულგრილად გადაიტანს ჩემს სიკვდილს; უთხარით, რომ მინდა, ძალიან არ იწუხოს. უსიამოვნებას მომაყენებს, თუ ძლიერ იწუხებს. ეს უსიამოვნო იქნება ჩვენი მშობლებისთვისაც, იქ შევხვდები მათ და ერთად ვილოცებთ იმისთვის.

7. ჩემი ლოცვა-კურთხევა ყველა ჩემს ნათესავს. ვთხოვ, მაპატიონ, თუ ვინმეს ვაწყენინე. ამასვე ვთხოვ ჩემს მეგობრებსაც: ნიკოლოზ ბერძენოვს, ალექსი პეტროვს, იოსებ ინდუევს, აგრეთვე ყველა თანამოსამსახურეს; უფალმა იცის, რომ არავისთვის არ მდომნია ცუდი, პირიქით, ყველას პატივს ვცემდი.

8. ვთხოვ იოსებ ივანეს ძე ინდუევს, მისწეროს ტიურინს და, თუ ეს უკანასკნელი ისურვებს, გაუგზავნოს ჩემი ნაშრომები ლექსიკონისათვის - როგორც რვეულები, ისე ბარათები, ბასილი დიდის წირვის თარგმანი, ანდაზები და თქმულებები, აგრეთვე ზღაპრები ოსურ ენაზე და ჩემი შენიშვნები კურთათინის ოსების შესახებ. ვთხოვ, მოაგროვოს, გადაწეროს და ისე გაუგზავნოს. ეს ქაღალდები მოინახება ან ჩემს საწერ მაგიდაში, ან - ჩემსავე საცვლების ყუთებში.

9. იოსებსაც ვთხოვ, გულდასმით გადაიკითოს მესამე ტომი წესდებისა - პენსიისა და ერთდროული დახმარების შესახებ. მგონი, იქ აღნიშნულია, რომ თუ მასწავლებელი ავად გახდა სამსახურში იმგვარი ავადმყოფობით, რომელიც ხელს უშლის, მაშინ მას მთავრობის შუამდგომლობით პენსია მთელი ჯამაგირის ოდენობით უნდა დაენიშნოს, ათი წლის სამსახურისთვისაც კი. იქნებ ამის მიხედვით დაენიშნოს რამე ჩემს გიორგის.

მეტი არაფერი მაქვს დასაწერი; ერთადერთი ჩემი თხოვნაა ყველასთან: ანუგეშეთ ჩემი და, გეცოდებოდეთ ჩემი ობოლი და ილოცეთ ჩემი ცოდვილი სულისთვის. ჩემს სიძეს, სპირიდონს, მოკითხვა და ლოცვა - კურთხევა. ვთხოვ მაპატიოს, თუ შევცოდე რამე ან ვაწყენინე.

დანიელ ჭონქაძე

ცვლილება ანდერძში, რომელიც მწერალმა შეიტანა 1860 წლის 5 მარტს:

„შენიშვნები კურთათინის ოსების შესახებ გადაეცეს ბერძენოვს, რომელიც, თუ საჭიროდ ჩათვლის, დაბეჭდავს რომელიმე ჟურნალში; დაალაგოს, როგორც სურს; მხოლოდ დალაგება აკლია, თორემ ფაქტები ბევრია. დანარჩენი თუნდაც დაიკარგოს... მათ გარჩევაზე არავის ეყოფა მოთმინება“.

დანიელ ჭონქაძე 1860 წლის 16 ივნისს გარდაიცვალა. ანდერძის თანახმად, დაკრძალეს მეუღლის გვერდით, თბილისში, მაშინდელი ვერის სასაფლაოზე (ახლანდელი ვერის ბაღი). აღსანიშნავია, რომ ორივე საფლავი იქ დღემდე დაცულია.

ერთადერთი შემორჩენილი მოთხრობა

„ვინც კი წაიკითხა „სურამის ციხე“, მაშინვე მიხვდება, რომ საქმე უნიჭიერეს მწერალთან დაიჭირა“, - წერს დიდი ქართველი კლასიკოსი მიხეილ ჯავახიშვილი. ალბათ, მიხეილ ჯავახიშვილის თუნდაც ეს შეფასება იკმარებდა საიმისოდ, რომ ჩვენს მწერლობაში მწერლის ადგილსა და მნიშვნელობაზე აღარ გვედავა...

„სურამის ციხე“ იმჟამად გამომავალ ერთადერთ ქართულენოვან ჟურნალ „ცისკარში“ ორ ნაწილად დაიბეჭდა, კერძოდ, 1859 წლის მე-12 და 1860 წლის 1-ელ ნომრებში.

„ცისკარი“ უცბად გაიყიდა. ძნელი საშოვარი გახდა. მთელი საზოგადოება მოიცვა მოთხრობამ, რომელიც არნახული სიმწვავით ამხელდა იმ მანკიერებებს, რითაც ასე შეწუხებულიყო გლეხობა. უბრალო ადამიანები მასში ნუგეშს ხედავდნენ, მებატონენი და წარჩინებულნი - შეურაცხყოფას.

ჟურნალის რედაქტორი ივანე კერესელიძე მოგვიანებით იხსენებდა: „როცა მოთხრობა დაიბეჭდა, მოკლე ხანში ასე მალე შეყვარება და კითხვა თვით დანიელ ჭონქაძესაც გაეგო და ამ გარემოებით ნასიამოვნები იყო და სხვა ასეთი მოთხრობების წერასაც აპირებდაო“. საინტერესოა, რომ მომავალი ნაწარმოების სათაური ყოფილა „ვინ არის დამნაშავე?“. ალბათ, იგი იქნებოდა ამ გარემოებით ნაკარნახევი და ერთგვარად საპასუხო ხასიათისაც.

როგორც ჩანს, დანიელსა და ივანეს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. ამბობენ, ივანეს მწერლის სასაფლაოსთან დაკრძალვის დღეს ლექსიც უთქვამს და ატირებული ისე დამხობია კუბოს, იქ მყოფთ ნათესავი ჰგონებიათ.

თავად მოთხრობა „სურამის ციხის“ I თავს კი სწორედ ივ. კერესელიძის ლექსის ნაწყვეტი აქვს ეპიგრაფად წამძღვარებული.

დანიელ ჭონქაძე წერს: „ხელი მოვკიდე ქართულ ლიტერატურას (აქ ქართულ ენაზე მხოლოდ ერთი ჟურნალი გამოდის, ეროვნული გრძნობა იღვიძებს) და დავწერე ერთი მოთხრობა, სათაურით „სურამის ციხე“. მოთხრობას ძლიერ კარგად შეხვდა საზოგადოება, ზოგიერთი უვიცი მემამულის გარდა, რომელთაც ვაწყენინე გლეხთა საკითხით“ (წერილი ცოლისძმას, ივანე ფეოდოროვს, 1860 წ.)

„სურამის ციხე“ ცალკე წიგნად პირველად 1875 წელს გამოიცა.



Ц и с к а р и

1860

и а н в а р и.

წელიწადი მეოთხე.

Р о д е ბ а თ ხ ზ ულ ებ ა თ ა:

I. — შესავალი, წიგნი მიწერილი თიმოთესთან. . . . ბაქარ ქართველისა.
ასული წელიწადი (პროზად) ჯანათლისა ჯ (ლექსად). . . ივ. კერესელიძისა.
ვარდ ბულბულიანი. . . მეფეს თეიმურაზისა.
II. — სურამის ციხე (დასასრული). . დ. ჭონქაძისა.
III. — ლექსები სხვა ჯ სხვათა თანამედროეთა მწერალთა.
IV. — მეფე სოლომონ მეორეზე. . მ. ყიფიანისა.
V. — ადგილ მამულის მპრთველ. . თ. �ლ. ციციშვილისა.
VI. — წიგნი მოწერილი რედაქტორთან. . . . კნ. ბარ. ჯორჯაძისა.
VII. — სხვა ჯ სხვა ანბავი (ნასე მეორე ეფერდზე). . . თ. ზაქ. ერის_თავისა.

Р ф ი ლ ი ს ი.

ჟურნალი „ცისკარი“

ცხადია, მოთხრობის პათოსი მიმართულია ბატონყმობის წინააღმდეგ, თუმცა, მაინც ვფიქრობთ, ეს არაა მისი ერთადერთი სათქმელი თუ ღირსება. როგორც ცნობილი მწერალი და კრიტიკოსი აკაკი ბაქრაძე შენიშნავს: „სურამის ციხის“ ღირსება მარტო ბატონყმობის მხილება რომ იყოს, იგი ქართველ მკითხველს კარგა ხნის დავიწყებული ექნებოდა. მაგრამ თუ ჩვენი საზოგადოება სათუთად ინახავს ამ პაწია მოთხრობას, ეს იმიტომ, რომ მასში ხედავს ცოდვილი ადამიანის სამშვინველის ტკივილის მარადიულ პრობლემას“.

მოთხრობა ეხება ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორიცაა: სიყვარული, სიკვდილი, ღალატი, უსამართლობა, ცრუმორწმუნეობა, შურისძიება, თვალთმაქცობა...

„სურამის ციხე“ არსებითად წარმოადგენს ერთ დიდ, შავ-თერთ ტილოს, რომელზეც ვხედავთ ადამიანის გადაგვარების სულისშემძვრელ სურათებს. ერთი მხრივ, გულისვარდისა და დურმიშხანის, მეორე მხრივ, ნოდარისა (ოსმან-აღას) და ნატოს რომანტიკულ თავგადასავალში საბედისწერო მოვლენებია თავმოყრილი. ცხადია, ეს ყველაფერი გახვეულია სოციალური უთანასწორობის ნისლში.

მოთხრობაში ზღვარი წაშლილია თქმულებასა და სინამდვილეს შორის. არსებითად, მოქმედება წარსულშია, „უწინდელს დროს“, ამავე დროს, სათქმელის სიმწვავე აქტუალურია რეალურ დროშიც. საფიქრებელია, რომ ეს მწერლის მხრიდან იყო ერთგვარი ხერხი ცენზურის თვალის ასახვევად. ასე რომ, რიყეზე მყოფი ახალგაზრდების მიერ გასართობად, თავშესაქცევად ნაამბობი ძველი ამბები, ფაქტობრივად, „დღეს და ახლა“ ხდება.

და მაინც... გვინდა, სათქმელი სრულვყოთ აკაკი ბაქრაძის ფრაზით: „სურამის ციხის“ პრობლემა ცოდვის პრობლემაა“...

მანკიერებათა მხილების გზით...

(„სურამის ციხეზე“ ფიქრისას)

ამბობენ, დიდი სიყვარულიდან დიდ სიძულვილამდე უმოკლესი გზააო... და თუ ამ მოარულ გამოთქმას ოდესმე გამართლება უპოვია მხატვრულ ლიტერატურაში, ეს დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხეზეც“ ითქმის: მოთხრობა, რომელიც XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან შეემატა ჩვენს მწერლობას, ზემოთქმულის უტყუარი და ტრაგიკული დადასტურებაცაა...

წმ. მოციქული პავლე შეგვაგონებს, რომ: „სიყვარული სულგრძელ არს და ტკბილ“, ხოლო ნეტარი ავგუსტინეს თქმით, ესაა მისწრაფება სრულყოფილებისა და სიმშვიდისაკენ... ცხადია, ორივე მათგანი საღვთო სიყვარულს ეხება, რაც ძალზე ხშირად დამცრობილი და გზაშეცვლილია კაცის შემთხვევაში... ის, რაც უდიდესი მიზანია ღვთაებრივი თვალსაზრისით, უდიდეს „მიზეზად“ იქცევა ხოლმე კაცობრივი, ცოდვისმიერი რწმენა-წარმოდგენების გამო... მარტივად რომ ითქვას: გზის სიმოკლეც ადამიანური სიყვარულიდან ადამიანურსავე სიძულვილამდე მანძილს გულისხმობს...

საინტერესოა, რატომ ასახავს „სურამის ციხე“ ამ ყოვლისმომცველ ტრაგედიას? რატომაა, რომ მოთხრობის თითქმის ყველა გმირი ტრაგიკულად კვდება?

უღრმავდება რა მოთხრობის შინაარსს, აკაკი ბაქრაძე ასკვნის, რომ საბოლოოდ: „სურამის ციხის“ პრობლემა ცოდვის პრობლემაა“. ვფიქრობთ, ჩვენც ამით უნდა მივადგეთ სათქმელს და ამოვიცნოთ სათავე. მით უმეტეს, რომ დროითი მანძილი საკმარისზე მეტ საშუალებას იძლევა, რათა რამდენადმე დავცილდეთ აგრერიგად გაბატონებულ მოსაზრებას, რომ მწერლის ერთადერთი მოთხრობა ერთადერთივე და ძლიერი პროტესტი იყო ბატონყმობის წინააღმდეგ იმდროინდელ საქართველოში. ამით საშუალება მოგვეცემა, სხვადასხვა და არანაკლებ საინტერესო კუთხით დავინახოთ ამ ერთი შეხედვით „შავ-თეთრი მოთხრობის“ უცნობი ფერები და გავეცნოთ მას...

„სურამის ციხეში“, არსებითად, ორი მთავარი პერსონაჟის ცხოვრებას ვხედავთ. ერთი დურმიშხან წამალაძეა, რომელიც ბატონყმობის მძიმე უღელს კი გამოხსნია, მაგრამ ის ბუნებითი სივერაგე და უზნეობა, რაც მას ახასიათებდა, კვლავ მასთან დარჩენილა. მეორეა - ნოდარი, იგივე ოსმან-აღა, ნამდვილი მსხვერპლი, რომელსაც წარმოუდგენელი სისასტიკით მოექცნენ.

დურმიშხანისა და ნოდარის თავგადასავლებს ბევრი საერთო აქვთ, მაგრამ კიდევ უფრო მეტი - განსხვავება. თუ პირველი მათგანი ადვილად დააღწევს თავს ბატონის ყმობას, მეორის შემთხვევაში თავისუფლება საბედისწერო აღმოჩნდება. ნოდარს, დურმიშხანისგან განსხვავებით, არჩევანს აღარ უტოვებს ცხოვრება. ჯერ კევრში შებმულს მოუკლავენ დედას, შემდეგ საცოლეს მიიყვანენ თვითმკვლელობამდე. როცა ამ უკიდეგანო ტრაგედიას ეცნობი, ადამიანური თვალსაზრისით, ძნელია, უფრო მეტად ლოგიკური რეაქცია წარმოიდგინო, ვიდრე ეს ნოდარს აქვს: იგი „ბუნებრივად“ იქცევა თავზეხელაღებულ, შურისმაძიებელ, ტრაგიკულ პიროვნებად. მაგრამ არასოდეს ასვენებს უდანაშაულო მსხვერპლის - ბატონის მცირეწლოვანი შვილის - სისხლი. მისსავე ნამუსს ამძიმებს უმძიმესი ცოდვა - ქრისტიანობის დაგმობისა და რჯულის შეცვლისა. „სისხლისგან გაგიჟებულმა, მე დავაკალი დედა შვილსა. შემდეგ გამოვვარდი კარში, შევჯექი ცხენზე და გამოვიქეცი... ჩემი გარეგანი ცხოვრება იყო ძლიერ კარგად, მაგრამ რა სრულდებოდა ჩემს გულში, ის უწყოდა მხოლოდ ღმერთმა. მოკვლა უბრალო ყმაწვილისა და, უმეტესად, გადადგომა ქრისტიანობისა, არ მაძლევდნენ მოსვენებას და არც ახლა მასვენებენ. მხიარულებაში, ძილში, ომში, ან თუ საცა გინდა, ყველგან სისხლში შესვრილი ყმაწვილი მიდგას წინ და მეუბნება სალმობით: მე რა დაგიშავე, რად მომკალ?“ („სურამის ციხე“, თავი III).

მხედველობაში უნდა გვქონდეს ისიც, რომ ოსმან-აღად ქცეული ნოდარი მას შემდეგ მაინც სიკეთის გზას უბრუნდება. იგი ყველანაირად დაეხმარება დურმიშხანს, იყოს ბედნიერი და წარმატებული კაცი. სიცოცხლის ბოლოს კი კვლავ დაუბრუნდება მამაპაპისეულ რჯულს - მიიღებს ქრისტიანობას და ქონების ნახევარს ეკლესიას შესწირავს. ოსმალოთაგან უამრავ წამებას მიიღებს, მაგრამ აღარ უღალატებს ქრისტეს. სწორედ ამის გამო, სასტიკად აწამებენ მას და შუაზე გაჭრიან. ყველასაგან მიტოვებული მისი სხეული ქუჩაში გაიხრწნება, ხოლო საბოლოოდ ზღვაში გადააგდებენ...

ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ ოსმან-აღა, ამ თვალთახედვით, თითქმის მოწამის გზას გადის, რაც ქრისტიანული მსოფლმხედველობით, არა მხოლოდ ცოდვათა მიტევების, არამედ წმინდანის შარავანდედამდეც კი მიდის.

რაც შეეხება დურმიშხანს... მისი გზა ცოდვის გზაა და, ბუნებრივია, რომ მის მიმართ მკითხველს თანაგრძნობის განცდა ვერ უჩნდება. დურმიშხანის ფსევდო-სიყვარულმა გულისვარდი მკითხავ ვარდუად აქცია და სიძულვილის სამყაროს შესძინა... რჩება განცდა, რომ ავტორმა ადამიანურ მანკიერებათა მხილების გზით ფერისცვალების მეტად საინტერესო პროცესი ასახა.

ეკრანსა და სცენაზე

მოთხრობა არაერთხელ დაიდგა საქართველოს სხვადასხვა თეატრის სცენაზე. იგი პოპულარობით სარგებლობდა დიდი ხნის განმავლობაში. საბჭოთა პერიოდში ორჯერ მოხდა მისი ეკრანიზაცია, კერძოდ: 1923 წელს ივანე პერესტიანის, ხოლო 1984 წელს - სერგო ფარაჯანოვის მიერ. „სურამის ციხე“ იყო ლიტერატურულ ნაწარმოებზე დაფუძნებული პირველი ქართული საბჭოთა ე.წ. მუნჯი ფილმი. აღსანიშნავია, რომ ფილმში რეჟისორმა ამო ბეკ-ნაზაროვმა უკანასკნელად ითამაშა, როგორც მსახიობმა. პირველი ჩვენება საკავშირო ეკრანებზე შედგა 1923 წელს.



ზურაბის კედელში ჩატანების სცენა

ფილმს „ამბავი სურამის ციხისა“ (1984 წ.) საფუძვლად უდევს ძველი ქართული ლეგენდა, რომლის მიხედვითაც დამპყრობლებისგან თავდასაცავად ქართველი ხალხი ციხე-სიმაგრის აშენებას ცდილობდა, მაგრამ ყოველ ჯერზე ნახევრად მისული კედელი ინგრეოდა. „ციხე მხოლოდ მაშინ აშენდება, თუ მის კედელში ყმაწვილი ბიჭი იქნება ჩატანებული", - ასეთი იყო მკითხავის განაჩენი. და გამოჩნდა ჭაბუკი, რომელმაც თავი გაწირა სამშობლოს კეთილდღეობისთვის. რეჟისორები: სერგო ფარაჯანოვი, დოდო აბაშიძე. როლებში: ვერიკო ანჯაფარიძე (მკითხავი), თამარ ციციშვილი, დუდუხანა წეროძე, სოფიკო ჭიაურელი (ვარდო), დოდო აბაშიძე (ოსმან-აღა), ზურა ყიფშიძე (დურმიშხანი), ლევან უჩანეიშვილი (ზურაბი), ლელა ალიბეგაშვილი (ვარდო ახალგაზრდობაში), მზია არაბული, პაატა ბარათაშვილი, გია ბურჯანაძე, ნინო ჩხეიძე, ნუნუ დუგლაძე, გეგი გუჯეჯიანი, აბესალომ ლორია, მანანა ცხოვრებოვა, თამაზ დანელია, ელენე ყიფშიძე, გივი თოხაძე, გარი ამბარცუმოვი, ვლადიმერ ჩიტიშვილი, მალხაზ გურგენაშვილი და სხვები. ხანგრძლივობა - 88 წთ; ფერი - ფერადი.

მიხეილ ჭონქაძე
2023 წ.

სტუმრები დანიელ ჭონქაძის სახლ-მუზეუმში

18 მარტს ცნობილი მწერლის - დანიელ ჭონქაძის (1830 -1860) დაბადების დღესთან დაკავშირებით, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის წრეების მოსწავლეები და მასწავლებლები სოფელ ყვავილში სახლ-მუზეუმს ესტუმრნენ, დაათვალიერეს სამუზეუმო ექსპონატები და ყვავილებით შეამკეს მწერლის ბიუსტი.

დ. ჭონქაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ისაუბრა ჟურნალისტმა და პედაგოგმა მიხეილ ჭონქაძემ.

აღსანიშნავია, რომ ცენტრი მიმდინარე წელს მწერლის შემოქმედების პოპულარიზების მიზნით რამდენიმე საგანმანათლებლო ღონისძიებას გამართავს.

ღონისძიებას პედაგოგებთან, მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურისა და ცენტრის თანამშრომლებთან ერთად ესწრებოდნენ საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ასლამაზიშვილი და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის დირექტორი ჯემალ დამაცალაშვილი.

კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი

ვაჟა-ფშაველა



ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია. როგორ? ასე: რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას. თუ მთელის ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრეთვე ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულს ჯგუფსა; თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველის ერისათვისაა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერგია, თავისებურობა გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის სალაროში...

ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალ-ღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქმნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოგდება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქმნება მთელი კაცობრიობისათვის. ედისონი ამერიკელია, ამერიკაშივე მუშაობს, მაგრამ მისი შრომის ნაყოფს მთელი კაცობრიობა გემულობს. შექსპირი ინგლისელია, ინგლისში მუშაობდა და ცხოვრობდა, მაგრამ მისი ნაწერებით მთელი კაცობრიობა სტკბება დღესაც. ეგრეთვე სერვანტესი, გიოტე და სხვა გენიოსები თავის სამშობლოში, თავის თანამოძმეთათვის იღვწოდნენ, მაგრამ დღეს ისინი მთელს კაცობრიობას მიაჩნია თავის ღვიძლ შვილებად.

ყველა გენიოსები ნაციონალურმა ნიადაგმა აღზრდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად. მაშასადამე, გენიოსებმა თავის სამშობლოს გარეშეც ჰპოვეს სამშობლო - მთელი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გენიოსთ ნაწარმოებნიც უფრო სარგები და შესაფერებელია ეროვნულ ნიადაგზე. „ჰამლეტით“, „მეფე ლირით“ ვერც ერთი ქვეყნის შვილი ვერ დასტკბება ისე, ნამეტნავად თარგმანით, როგორც თვით ინგლისელი, რომელიც ინგლისურს ენაზე კითხულობს ამ ნაწარმოებთ. შორს სად მივდივართ? ნუთუ სხვა ქვეყნის შვილი ისე დასტკბება „ვეფხისტყაოსნით“ და ისე გაიგებს მას, რაც უნდა კარგი თარგმანი წაიკითხოს, ან თუნდაც კარგად იცოდეს ქართული ენა, როგორც თვით ქართველი? - არასდროს. გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, საყვარელი, სათაყვანებელი, ხოლო მის ნაწარმოებს არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება... მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეოხებით. განავითარეთ ყოველი ერი იქამდის, რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავის სოციალური ყოფის ავკარგი, მოსპეთ დღევანდელი ეკონომიური უკუღმართობა და, უეჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორის ჩასანთქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიც დღეს გამეფებულია დედამიწის ზურგზე.

პატრიოტიზმი, როგორც სიცოცხლე და სიცოცხლესთან გრძნობა, თითქო დაბადებასთან ერთად ჰყვება ადამიანს და შეიცავს ისეთ ნაწილებს, რომელთაც ვერც ერთი ჭკვათმყოფელი ადამიანი ვერ უარყოფს, როგორც, მაგალითად, არის დედაენა, ისტორიული წარსული, სახელოვანი მოღვაწენი და ეროვნული ტერიტორია, მწერლობა და სხვა. იმავ წამიდანვე, როცა ბავშვი ქვეყანას იხილავს, მას, გარდა ჰაერისა, სადგომ-საწოლისა, ესაჭიროება აღმზრდელი, რძე - საზრდოდ, ნანა - მოსასვენებლად.

ყველა ეს ხდება ოჯახში, დედის ხელმძღვანელობით და სწორედ აქ არის დასაბამი პატრიოტიზმისა. ყმაწვილი იმ თავიდანვე მჭიდრო კავშირს იმათთან ჰგრძნობდა, ვინც იმას ესაუბრება, ვინც გარშემო ახვევია, - ვისგანაც პირველ შთაბეჭდილებას ღებულობს. ამიტომ უყვარს ის ენა, რომელიც იმას სიყრმის დროს ესმოდა, და ის ადამიანები მიაჩნია თავისიანებად, რომელნიც ამ ენაზე ლაპარაკობენ თუ მღერიან. თავის სოფლელთა სრულიად უმნიშვნელო სხვებისაგან განმასხვავებელი საუბრის კილოც კი შვენიერებად მიაჩნია. თავისი სოფლელი, თუნდაც უკანასკნელი ადამიანი, უცხო ადგილას, უცხო მხარეს რომ შეჰხვდეს, დიდ სიამოვნებას აგრძნობინებს. ვიდრე გაფართოვდება ბავშვის მხედველობა და გაიზრდება მისი პატრიოტიზმი, მას მხოლოდ განსაკუთრებით ის სოფელი, ან დაბა უყვარს, სადაც დაბადებულა და ბავშვობა გაუტარებია.

ვერ წარმომიდგენია ადამიანი სრულის ჭკუისა, საღის გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე. რატომ? - იმიტომ: ერთი და იგივე ადამიანი ათასს ადგილას ხომ არ იბადება, არამედ ერთს ადგილას უნდა დაიბადოს, ერთს ოჯახში, ერთი დედა უნდა ჰყავდეს! თუ ვინმე იტყვის ამას, ყველა ერები ერთნაირად მიყვარსო, - სტყუის, თვალთმაქცობს: ან ჭკუანაკლებია, ან რომელიმე პარტიის პროგრამით არის ხელფეხშებოჭილი. სამოწყალეო სახლში აღზრდილი ბუშიც კი, რომელსაც, შეიძლება, ათასი ლალა გამოუჩნდეს და გარშემო ათასი ენა ესმოდეს, ბოლოს ერთს რომელსამე ენას იწამებს და ერთს ქვეყანას მიიჩნევს თავის სამშობლოდ...

პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონებისა, თუმცა კეთილგონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი მათაყვანებელი და პატივისმცემელი. კოსმოპილიტიზმი მხოლოდ ჭკუის ნაყოფია, ადამიანის კეთილგონიერებისა, მას ადამიანის გულთან საქმე არა აქვს, იგი საღსარია იმ უბედურობის ასაცილებლად, რომელიც დღემდის მთელს კაცობრიობას თავს დასტრიალებს.

ამიტომ კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნევლად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარჰყოს თავისი თავი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარის ძალ-ღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა.

1905 წ.

რედაქტორი
მიხეილ ჭონქაძე
✉ მისამართი: ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ.№27
(ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული).
გაზეთი დაკაბადონდა და დაიბეჭდა
შპს „ფავორიტი სტილში“

დუშეთის მაცნე
გამოდის 2007 წლის მარტიდან
დაბეჭდილ მასალაზე პასუხისმგებელია ავტორი, ან _ მითითებული ორგანიზაცია